

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე,
მოქალაქე გიგა ხვინჩიაშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და
მოწმობის გაცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. გიგა ხვინჩიაშვილის განცხადების (08.07.2014წ.№-5212), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიგა ხვინჩიაშვილს /პ/ნ N60001122669/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N15 ბინაზე საერთო ფართობი 62,68 კვ.მ., მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 34,72 კვ.მ. დამხმარე ფართობი 27,96 კვ.მ. მოქალაქე გიგა ხვინჩიაშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრამის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია